



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3532

09/07/2019

3532-09-2-201907091431



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 28 ივნისს N13 წერილით მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (ს/ნ 433650462) დირექტორმა თეიმურაზ ალექსაიამ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ 27.06.56.688; 27.06.52.448; და 27.09.46.010 საკადასტრო კოდებით არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

- ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.
- ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ა. სარიშვილი



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
2019 წლის ივნისი
ქ. ლანჩხუთი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა-ს“, (ს/ნ 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

- ა) ქ. ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 1011.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული N1 შენობა-ნაგებობა (სტადიონი, (ს/კ 27.06.56.688))
- ბ) ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 1118.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული N1 შენობა-ნაგებობა (სტადიონი, (ს/კ 27.06.52.448))
- გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 10232.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 189.70 კვ.მ. შენობა-ნაგებობა. (ს/კ 27.09.46.010)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

2800 ლანჩხუთი გვიმბალაური ტ. 599 20 09 52

N 13

„28“ ივნისი 2019 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადო რაოდენობის სავარჯიშო და სათამაშო მოედნები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მისი ყველა გუნდისათვის.

ამასთანავე სფფ სკოლების კატეგორიზაციიდან გამომდინარე სავარჯიშო და სათამაშო მოედნები უნდა იყოს სკოლის მფლობელობაში ან იჯარით. სავარჯიშო და სათამაშო მოედნებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი რაოდენობის გასახდელები მოვარჯიშე -- მოთამაშე გუნდებისათვის.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით გთხოვთ გადმოგვცეთ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლას“ (ს/კოდი 433650462) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით უზურფრუქტის ფორმით:

--- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩიბათში მდებარე 189,70 კვ.მ შენობა - ნაგებობა და მასზე მიმაგრებული 10232,00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 27.09.46.010).

--- ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონი (ს/კ 27.06.52.448) და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 1118,00 კვ.მ.

--- ქ. ლანჩხუთში თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონი (ს/კ 27.06.56.688) და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი 1011 კვ.მ ასევე მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საფეხბურთო სკოლის დირექტორი:  /თეიმურაზ ბლექსაია/

